შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№28 (9.888)

3 - 10 აგვისტო 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ნათია თურნავა - გაზზე ტარიფი არ გაიზრდება, შეგიძლიათ სრულიად გვენდოთ

გვ. 2

დედოფლისწყაროს მერი სოფელ ზემო ქედში იმყოფებოდა, სადაც C ჰეპატიტის, აივ/ შიდსისა და ტუბერკულოზის სკრინინგი მიმდინარეობს

გვ. 2

ქამპანიას – „არა მოწევას“ დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები ფლეშმობით შეუერთდნენ

„დედოფლისწყაროობა“ მეშვიდედ აღინიშნა

ღონისძიებაზე საპატიო დედოფლისწყაროელებს ვავლენთ, ადამიანებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით არა მხოლოდ დედოფლისწყაროს, არამედ ჩვენი ქვეყნის წინსვლაში...

დედოფლისწყარომ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა

დედოფლისწყაროს მუნიციპლიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის ეზოში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში- ,,რინგის რაინდები“ - ჩატარდა. ასპარეზობაში ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

საერთაშორისო ტურნირს სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

შეჯიბრში წარმატებით იასპარეზეს დედოფლისწყაროელმა კიკბოქსინგელებმაც.

C M Y K

დედოფლისწყაროს მერი სოფელ ზემო ქედში იმყოფებოდა, სადაც C ჰეპატიტის, აივ შიდსისა და ტუბერკულოზის სკრინინგი მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს მერი სოფელ ზემო ქედში იმყოფებოდა, სადაც C ჰეპატიტის, აივ/ შიდსისა და ტუბერკულოზის სკრინინგი მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელთან, მარიეტა გონაშვილთან ერთად, სოფელ ზემო ქედში იმყოფებოდა, სადაც C ჰეპატიტის, აივ/ შიდსისა და ტუბერკულოზის სკრინინგი მიმდინარეობს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მარიეტა გონაშვილი სოფლის ამბულატორიაში მიმდინარე პროცესს უშუალოდ დაესწრნენ და მედპერსონალსა და პაციენტებს გაესაუბნენ.

„ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს მოქალაქეებზე და გვინდა, რომ არ გამოგვრჩეს აღნიშნული დაავადებების არცერთი შემთხვევა, რათა ეფექტურად მოვახდინოთ მათი პრევენცია. ამიტომაც მოვუწოდებ დედოფლისწყაროელებს, ჩაერთონ სკრინინგ პროცესში. გამოკვლევები უტარდებათ 18-65 წლის მოქალაქეებს. პროგრამა 5 წლიანია და ის 2020 წელს დასრულდება''- აღნიშნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

C ჰეპატიტის, აივ/ შიდსისა და ტუბერკულოზის სკრინინგი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება და ის ყველა მოქალაქისთვის უფასოა. პროგრამის მიზანია, შემდგომი მკურნალობის მიზნით მაქსიმალურად მოხდეს დაავადებათა გამოვლენა .

მერმა ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა არხილოსკალოში მერის წარმომადგენელთან, იოსებ კობაიძესთან ერთად საბავშვო ბაგა-ბაღის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში შენობის სრული რეაბილიტაცია, რის შემდგომაც ის აღიჭურვება უახლესი ტექნიკით.

თანამედროვე, უმაღლესი სტანდარტების საბავშვო ბაგა-ბაღში სიარულს არხილოსკალოელი ბავშვები ახალი სასწავლო წლიდან შეძლებენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ზემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან, ბეჟან სუხაშვილთან ერთად გზის მშენებლობის სამუშაოები დაათვალიერა.

ე.წ. გერმანელების უბანში გზის რეაბილიტაცია დასკვნით ეტაპზეა და უახლოეს პერიოდში დასრულდება.

პროექტის ღირებულება 340 633 ლარს შეადგენს.

ლაშა ჟვანია ისრაელში საქართველოს ელჩად დაინიშნა

ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ლაშა ჟვანია დაინიშნა. ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, ლაშა ჟვანიას აქვს მდიდარი დიპლომატიური გამოცდილება.

"1995 წლიდან მოყოლებული სხვადასხვა პოზიციებზე საქმიანობდა საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში, მათ შორის 2004 წელს გახლდათ საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილე, შორის 2005-2008 წლებში ისრაელის სახელმწიფოში და კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. ადრეულ წლებში დიპლომატიურ სამსახურში იგი საქმიანობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის სამმართველოს მესამე მდივნად, ასევე გახლდათ აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების სამმართველოს მესამე მდივანი და დსთ-ს ქვეყნების დეპარტამენტის მრავალმხრივი ურთიერთობების სამმართველოს მეორე მდივნად, ასევე ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოში პირველი მდივანი შემდეგ კი კონსული.

„ლაშა ჟვანიას აქვს სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის მდიდარი გამოცდილება. 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის მაისამდე მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად. 2008-2009 წლებში გახლდათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი, 2002-2003 წლებში გახლდათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, 2002-2003 წლებში ანტიკორუფციული საბჭოს წევრი. 2008 წელს გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

2009-2018 წლებში იყო საკონსულტაციო და ინვესტიციების მართვის კომპანია ჩლობალ უნი ჩროუპ, დამფუძნებელი.

2010 წლიდან დღემდე არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეს კულტურის, მეცნიერებისა და სულიერების აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ფონდის მთავარი მენეჯერი.

2004 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი", -აღნიშნულია ინფორმაციაში.

ნათია თურნავა - გაზზე ტარიფი არ გაიზრდება, შეგიძლიათ სრულიად გვენდოთ

გაზზე ტარიფების ზრდა არ მოხდება; ასეთი შინაგანი რწმენა მაქვს, - ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის შემდეგ განუცხადა, რითაც უპასუხა ფასების შესაძლო ზრდასთან დაკავშირებით დასმულ კითხვას. მისი თქმით, ამ თვალსაზრისით მოსახლეობას შეუძლია მთავრობას ენდოს.

„ივლისის თვეში წლიური ინფლაციის დონე არის 4,6%, რაც ზომიერი ინფლაციაა. პანიკის საფუძველი არ არსებობს. მინდა მოგიწოდოთ, ნუ შევქმნით ნეგატიურ მოლოდინებს ამასთან დაკავშირებით. არ მოხდება გაზზე ტარიფების ზრდა. მე ასეთი შინაგანი რწმენა მაქვს და ჩემმა შინაგანმა რწმენამ შარშანაც გაამართლა. აქედან გამომდინარე, შარშანაც ახალ წლამდე, მცდელობა და სხვადასხვა განცხადება იყო, რომ გაზის ფასი გაიზრდებოდა და ეს არათუ არ გამართლდა, არამედ გაზის ტარიფები შემცირდა. ასე რომ, შეგიძლიათ სრულიად გვენდოთ ამ თვალსაზრისით," - განაცხადა ნათია თურნავამ.

ჭადრაკი დედოფლისწყაროში ძლიერდება

27 ივლისს ქ.დედოფლისწყაროში ჩატარდა მეგობრობის ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში გათვალისწინებული იყო მონაწილეთა შეჯიბრი ჭადრაკში. ჩვენს მუნიციპალიტეტს წარმოადგენდნენ ილია ტოკლიკიშვილი (10 წლის) და გიორგი ცაკაშვილი (12 წლის) აღსანიშნავია, რომ 24 მონაწილეთა შორის ილია ტოკლიკიშვილი გავიდა მე-4 ფინალში და დათმო პარტია მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე თანატოლებთან! ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრში მონაწილეობას იღებდნენ უფროსი ასაკის ადამიანებიც და ილიამ მე-8 ფინალში ასეთ მოწინააღმდეგეს სძლია.

ასე, რომ ჭადრაკი ჩვენს მუნიციპალიტეტში ძლიერდება და ბავშვებს საშუალება ეძლევათ განავითარონ და დახვეწონ ლოგიკური აზროვნება.

ლევან დავითაშვილი - ჩვენი ეკონომიკა მართლაც ჯანსაღია

ჩვენი ეკონომიკა მართლაც ჯანსაღია და თუ პანიკას არ შევქმნით, ლართან მიმართებაში გამყარების ტენდენცია გვექნება, - ამის შესახებ გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა.

მინისტრის თქმით, სტაბილური პოლიტიკური გარემო პირდაპირ კავშირშია სტაბილურ ეკონომიკურ გარემოსთან.

„სტაბილური გარემო ეს არის სტაბილური ეკონომიკური გარემო, მაგრამ სტაბილური ეკონომიკური გარემო მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ-პოლიტიკურ გარემოსთან. პოლიტიკურმა მოვლენებმა და ხშირ შემთხვევაში უპასუხისმგებლო მოწოდებებმა და გადაწყვეტილებებმა შექმნა ქვეყანაში არასტაბილურობის შეგრძნება, რამაც რა თქმა უნდა, გავლენა იქონია ეკონომიკურ პროცესებზე, მოსახლეობის განწყობებზე. ჩვენ დიდწილად ზუსტად ამაში ვხედავთ მიზეზს რყევების, რომელიც სავალუტო კურსს ჰქონდა. დავინახეთ, რომ გამყარების და სტაბილურობის ტენდენციაა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მიმართულებებით. მოლოდინია, რომ ლარი კიდევ გამყარდება. ჩვენი ეკონომიკა მართლაც ჯანსაღია და თუ არ შევქმნით პანიკას გამყარების ტენდენცია ლართან მიმართებაში გვექნება",- განაცხადა დავითაშვილმა.

საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა პატიმრობის მუხლები ნარკოტიკებთან დაკავშირებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსების ის მუხლები, რომლებიც პატიმრობას ითვალისწინებდა ისეთ ნარკოტიკულ საშუალებებზე, რაც არ იწვევს სწრაფ მიჩვევას ან აგრესიულ ქცევას. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სანქციის სახით ადმინისტრაციული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის და პრეკურსორის მოხმარებისთვის და ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობით დამზადების, შეძენისა და შენახვისთვის

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, 2019 წლის 2 აგვისტოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის N770) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

„საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადების, შეძენის, შენახვის ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისთვის სანქციის სახედ ითვალისწინებდა ადმინისტრაციულ პატიმრობასა და თავისუფლების აღკვეთას.

საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებდა, რომ სადავო ნორმებით დასჯადი ქმედებები არ წარმომობდა იმგვარ საზოგადოებრივ საშიშროებას, რაც გაამართლებდა საპატიმრო სასჯელის გამოყენებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმებით დაწესებული სანქციის ისეთი სახეები, როგორიცაა - ადმინისტრაციული პატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა, როგორც აშკარად არაპროპორციული სასჯელი (სახდელი) არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტთან მიმართებით.

მოპასუხე მხარემ სადავო ნორმების ლეგიტიმურ მიზნებად მიუთითა საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვა, ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებისა და ნარკომანიის პრევენცია. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ სადავო ნორმები ითვალისწინებდა ალტერნატიულ სანქციებს, რაც სამართალშემფარდებელს აძლევდა შესაძლებლობას, საქმის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით თავად გადაეწყვიტა რა სახის სანქციის გამოყენება იქნებოდა ყველაზე ადეკვატური ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლები ქმნიან მოთხოვნას, რითაც ხელს უწყობენ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას, შესაბამისად, მოხმარების შეზღუდვა ემსახურება როგორც თავად მომხმარებლის, ასევე საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას. ამავე დროს, ისეთი ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების კრიმინალიზება, რომლებიც არ იწვევენ სწრაფ მიჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას არ ემსახურება საზოგადოებრივი ნესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. შესაბამისად, მსგავსი ნივთიერების დასჯადობის მიზნები მხოლოდ საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვით შემოიფარგლება. ამასთან, ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობით ნარკოტიკული საშუალების, პირადი მოხმარების მიზნით, დამზადება, შეძენა და შენახვა წარმოშობს მისი გასაღებისა და ბრუნვაში მოქცევის მინიმალურ, ჰიპოთეტურ რისკებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ ზემოხსენებული ქმედებებიდან მომდინარე საფრთხე ისეთ ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით, რომელთა მოხმარება არ იწვევს სწრაფ მიჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას, არ არის იმ ხარისხის, რაც თავისუფლების აღკვეთას გაამართლებდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ცალკე გამოყო ისეთი ნარკოტიკული საშუალებები, რომელთა მოხმარებაც იწვევს სწრაფ შეჩვევას ან/და პირის მხრიდან აგრესიულ ქმედებებს. სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარი ნარკოტიკული საშუალებების თუნდაც ერთჯერადი მოხმარება, ისევე როგორც აშკარად პირადი მოხმარების მიზნით დამზადება, შეძენა და შენახვა შეიცავს საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის. შესაბამისად, აღნიშნული რისკების პრევენციისა მიზნით, სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სანქციის სახით ადმინისტრაციული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის და პრეკურსორის მოხმარებისთვის და ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობით დამზადების, შეძენისა და შენახვისთვის", - ნათქვამია განცხადებაში.

„დედოფლისწყაროობა“ მეშვიდედ აღინიშნა

ღონისძიებაზე საპატიო დედოფლისწყაროელებს ვავლენთ, ადამიანებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით არა მხოლოდ დედოფლისწყაროს, არამედ ჩვენი ქვეყნის წინსვლაში...

2 აგვისტო, რომელიც გამორჩეული ქრისტიანული დღესასწაულია დედოფლისწყაროელებისთვის, წელს ბევრმა ადამიანმა აღნიშნა. ელიის მთაზე მდებარე სალოცავს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სტუმრობდნენ. დილით ელიის მთაზე მდებარე ტაძარში ტრადიციული წირვა -ლოცვა ჩატარდა. წმ. ელია თეზბიტელის სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად აღავლინა.

წირვას მრევლთან ერთად დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერის მოადგილე დავით ფხოველიშვილი დაესწრნენ და დედოფლისწყაროელებს წმინდა ელია თეზბიტელის ხსენების დღე მიულოცეს.

მართლმადიდებლური დღესასწაული ტრადიციული სპორტული ღონისძიებით გაგრძელდა, რომელიც ელიის მიმდებარედ მოწყობილ არენაზე გაიმართა. ქართულ ჭიდაობაში ბიძინა მაზიაშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი „ელიაობისა“ და „დედოფლისწყაროობის“ დღესასწაულებს მიეძღვნა და მასში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა მიიღო.

ტრადიციული სახალხო ზეიმის- ,,დედოფლისწყაროობის“ ფინალური ნაწილი ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე გაიმართა. საზეიმო კონცერტის სტუმრები ,,ქუჩის მუსიკოსები“ იყვნენ. ჯგუფის უნიჭიერესმა წევრებმა ყველასათვის საყვარელი ჰიტები ცოცხლად შეასრულეს და დამსწრე საზოგადოებაც აიყოლიეს. ყველაზე დიდი ბედნიერების მუხტი კი იმ პატარებისგან მოდიოდა, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვნენ ღონისძიების მიმდინარეობაში და მოედანი „საცეკვაო ხალიჩად“ აქციეს...

როგორც კონცერტზე მოსული ადამიანები აღნიშნავდნენ, წლევანდელი „დედოფლისწყაროობა“ განსაკუთრებული და სასიამოვნოდ გამორჩეული იყო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას „ელიაობა“ და „დედოფლისწყაროობა“ მიულოცა და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ წელს, წინა წლებისგან განსხვავებით, შესამჩნევად ბევრი ხალხი ზეიმობს ამ დღესასწაულებს. **„დღეს ელიაობას და დედოფლისწყაროობას ერთად ვზეიმობთ, რომელიც ლამაზ ტრადიციად ჩამოყალიბდა და უკვე მეშვიდე წელია, აღვნიშნავთ. ღონისძიებაზე საპატიო დედოფლისწყაროელებს ვავლენთ, ადამიანებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით არა მხოლოდ დედოფლისწყაროს, არამედ ჩვენი ქვეყნის წინსვლაში“.**

დედოფლისწყაროს პირველი საპატიო მოქალაქე კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა გამოავლინა: **„დედოფლისწყარო არის ის ადგილი, საიდანაც მზე ამოდის ჩვენს ქვეყანაში და სადაც „პური ჩვენი არსობისა“ მოიყვანება. წელს, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ გამოვლენილია ჩვენი ქვეყნის საამაყო ოჯახის შვილი, ჩვენი კულტურის, ჩვენი ფოლკლორის მეცნიერულ დონეზე ქვეყნის გარეთ გამტანი, ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, მისაბაძი პიროვნება -ბატონი გია ბაღაშვილი“- ჩემთვის დიდი პატივია, ამ ღირსეულ ადამიანს, თქვენი სახელით გადავცე ეს მართლაც ძალიან დიდი ჯილდო“**-განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა.

„უღრმესი მადლობა თითოეულ დედოფლისწყაროელს. ჩემთვის არის განსაკუთრებული სიამაყის დღე. მე როცა შევიტყვე ამ გადაწყვეტილების შესახებ, ძალიან დიდ აღტაცებასთან მქონდა საქმეიმაზე მეტი სიხარული არ არსებობს, როდესაც შენთვის ძალიან მშობლიური, შენს ფუძესთან დაკავშირებული, მართლაც საამაყო მხარე დაგდებს პატივს და საპატიო მოქალაქედ დაგასახელებს. ყველანაირად ვეცდები, გავამართლო თქვენი იმედები. აქამდეც ვამაყობდი და ახლა ორგზის ვიამაყებ საკუთარი წარმომავლობით“- აღნიშნა თავის გამოსვლაში გია ბაღაშვილმა. მასთან ერთად საპატიო დედოფლისწყაროელის ტიტული მიენიჭა მის მამას, ყველასათვის ცნობილ და საყვარელ მაესტროს-ჯემალ ბაღაშვილს. მან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა დედოფლისწყაროში ჩამოსვლა, ამიტომ მისი სიგელიც გია ბაღაშვილს გადასცეს.

დედოფლისწყაროს რიგით მეორე საპატიო მოქალაქე გამოავლინა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ. **„ძალიან ლამაზად მოხდა შერწყმა ამ ორი დღესასწაულის. ჩვენ დილით დავიწყეთ „ელიაობის“ აღნიშვნა, მოგეხსენებათ, ეს არის უდიდესი საეკლესიო დღესასწაული, რაც მთავარია, ჩვენი უწმინდესის ანგელოზის დღეა და თქვენი სახელით მას მივულოცავ ამ დღესასწაულს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ. და ეს საეკლესიო დღესასწაული საღამოს გაგრძელდა საერო დღესასწაულით, ანუ „დედოფლისწყაროობით“. მოგილოცავთ ორივე დღესასწაულს, ღმერთმა სიკეთე და სიხარული არ მოგიშალოთ ყველას. ახლა კი უნდა გამოვავლინო საპატიო დედოფლისწყაროელი, რომელიც ჩემთვის დიდი პატივია: ეს არის ადამიანი, რომელიც, დაახლოებით ორი წელია, რაც ჩვენს ქალაქში ჩამობრძანდა, მაგრამ თავისი შრომით, ღვთის სიყვარულით მან დაიმსახურა, რომ ეს საპატიო ჯილდო მიეღო. და მე სიამაყით ვასახელებ ამ ადამიანს, ეს გახლავთ ელგუჯა ტუჩაშვილი“.** ჩვენ კი ინფორმაციისთვის დავამატებთ, რომ ელგუჯა ტუჩაშვილი გახლავთ ქ. დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მხატვარი.

დედოფლისწყაროს კიდევ ერთი საპატიო მოქალაქე საკრებულოს თვმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა წარადგინა. **„დღეს ჩემთვის ამაღელვებელი დღეა. ჩემი უფროსი მეგობარი და ჩვენი რაიონის ღვაწლმოსილი პიროვნება დღეს დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე ხდება. და მე მხვდა წილად პატივი დავასახელო ბატონი შალვა თეთვაძე, ჩვენი რაიონის ღირსეული წარმომადგენელი“.**

„ექვსგზის საქართველოს ჩემპიონი, ექვსგზის ევროპის ჩემპიონი, შვიდგზის ევროპის თასის მფლობელი, ახალგაზრდა ადამიანი, რომელმაც ბოლო სამ წელიწადში ყველა პრიზი მოიგო, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. და როდესაც ჩვენ ყველა მის წარმატებას სიამაყით აღვნიშნავდით და ვზეიმობდით,რომ დედოფლისწყაროელმა სპორტსმენმა მორიგი სპორტული წარმატება მოიპოვა, სოციალურ ქსელში იდებოდა კომენტარები: „ეგ არაა დედოფლისწყაროელი, ეგ ქედელია(?!)“. -განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა კიდევ ერთი საპატიო დედოფლისწყაროელის წარდგენისას და იუმორიც მოიშველია- **„ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს ლაშა ბექაურს, უძლეველ ჩემპიონს ძიუდოში, მივანიჭოთ საპატიო დედოფლისწყაროელის წოდება და ამიერიდან ყველამ ერთად ვიამაყოთ“**-დასძინა მან.

მაშ, ასე, საპატიო დედოფლისწყაროელის წოდება მიენიჭათ: გია ბაღაშვილს, ელგუჯა ტუჩაშვილს, შალვა თეთვაძეს, ლაშა ბექაურს და ჯემალ ბაღაშვილს.

(გაგრძელება გვ.8)

სერაფიმე საროველი და საქართველო

სერაფიმე საროველი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი წმიდანია. ღირსი მამა სერაფიმე საროველი ატარებდა თეთრ კვართს, ყელზე ეკიდა დედა აღათიას ნაჩუქარი სპილენძის ჯვარი, მხარზე გადაკიდებული ჰქონდა ჩანთა, რომელიც სავსე იყო ქვებით და ქვიშით, ზევიდან კი იდო წმინდა სახარება, ღირს მამას ხელში ეჭირა სკვნილი, იგი ყველას ხვდებოდა სიტყვებით-ჩემო სიხარულო, ქრისტე აღსდგა! მის კელიაში იყო ღვთისმშობლის ხატი მავედრებელი, რომლის წინაშე ლოცვისას მუხლებზე მდგარი აღესრულა .რუს წმინდანთაგან, ალბათ, ისე არავინ უყვარს საქართველოს, როგორც - სერაფიმე საროველი... შესაძლოა, იმიტომ, რომ ისიც იმ იდუმალი მიწის მუშაკია, ღვთისმშობელმა თავის მეოთხე წილხვედრად, მეოთხე ბაღად რომ გამოირჩია, (ცნობილია, რომ სერაფიმე საროველს გამოცხადებით ემცნო: „დედამიწაზე ღვთისმშობლის პირველი წილხვედრია საქართველო - ივერია, მეორე - ათონი, მესამე - კიევო-პეჩორის ლავრა და მეოთხე იქნება დივეევო“.) ან იმ სიტყვისთვის, საკუთარ სამშობლოს რომ დაუბარა: - "არასოდეს ეომოთ ივერიას, რადგან ამით ღვთისმშობელს შეებრძოლებით... ამ მიწაზე მზაკვარი ანტიქრისტე ვერ გამეფდება და უკანსაკნელ ჟამს საუფლო ტრაპეზზე ღვინო ივერიიდან მოვაო... მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი წმინდანი ღირსი სერაფიმე საროველი, ერობაში პროხორე მოშნინი, დაიბადა 1754 წლის 19 ივლისს, ქ. კურსკში.მისი მამა ღვთისმოსავი ვაჭარი, შრომისმოყვარე ისიდორე მოშნინი, აშენებდა ტაძრებს. იგი მტკიცე რწმენით და და ღვთისმოშიშობით გამოირჩეოდა, დედა ჭეშმარიტი მხევალი ღვთისა, აღათია, რომელიც მეუღლესთან ერთად იღწვოდა ტაძრების აღმშენებლობის საქმეში, ღატაკებისა და ქვრივ-ობლების დიდი დამხმარე იყო. პროხორეს მამა ადრე გარდაეცვალა და მცირეწლოვანი დედის აღათიას მზრუნველობის ქვეშ დარჩა. მას უფლისა და ღვთისმშობლის მფარველობა ბავშვობიდანვე არ აკლდა. პირველი სასწაული მაშინ მოხდა,როდესაც პროხორი 7 წლის იყო, იგი მშენებარე ტაძრის მაღალი სამრეკლოდან ჩამოვარდა, მაგრამ სრულიად უვნებელი გადარჩა, მეორე და უდიდესი სასწაული მოხდა 10 წლის ასაკში , როცა პროხორე მძიმედ დაავადდა. დედას მისი გამოჯანმრთელების იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ ვაჟმა მას უამბო, რომ ძილში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და განკურნებას შეჰპირდა.მართლაც, მალე, მათი ეზოს წინ პროცესიამ ჩაიარა ჯვრებით და ღვთისმშობლის ხატით. დედამ დასტაცა ხელი ავადმყოფ შვილს და ღვთისმშობელს მიუახლა, რის შემდეგაც მან სწარაფად დაიწყო მომჯობინება. ამის შემდეგ მასში უიშვიათესმა ნიჭმა, ნათელმა გონებამ, განსაკუთრებულმა მეხსიერებამ და საქმისადმი უაღრესმა გულმოდგინებამ იჩინა თავი.ეს თვისებები მას სიკვდილამდე შემორჩა. რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, ყველაფერს სწრაფად და მტკიცედ ითვისებდა. პროხორეს ბავშვობიდანვე უყვარდა ღვთის მსახურებაზე დასწრება, წმიდა წერილის და წმიდანთა ცხოვრების კითხვა, მაგრამ ყველაზე უფრო. განმარტოებული ლოცვა იზიდავდა. ღვთისმოსავმა აღათიამ ადრევე შენიშნა წმინდანის მისწრაფებანი. იგი ვაჟიშვილზე აღსრულებულ ღვთისმიერ სასწაულებსაც ვერ უგულებელყოფდა. პროხორეს ამჩნევდა გულითად ლოცვას, წუთისოფლისგან განდგომის სურვილსა და მიწიერი საზრუნავისადმი გულგრილობას. დედის გული უკვე მომზადებული იყო მსხვერპლის გასაღებად, როდესაც სიმწიფეში შესულმა პროხორემ სანუკვარი ჩანაფიქრი გაუმჟღავნა დედას. პროხორემ სიყმაწვილეშივე გადაწყვიტა თავი უფლის მსახურებისათვის მიეძღვნა და მონასტერში წასულიყო. კეთილმსახურმა დედამ დალოცა მისი განზრახვა, ჯვარიც აჩუქა, რომელსაც წმინდანი მთელი ცხოვრების მანძილზე გულზე საჩინოდ ატარებდა.

პროხორემ მალე დატოვა თავისი მშობლიური კერა და თავის ხუთ თანამოძმესთან ერთად, კიევისაკენ ფეხით გაემართა. მათ მშვიდობიდ ჩააღწიეს კიევამდე. გზად მიმავალნი ღვთისმშობლის მიმართ ლოცულობდნენ, წმინდა ნაწილებს ემთხვეოდნენ და სიწმინდეებს მოილოცავდნენ. ახალი ცხოვრების გზაზე შემდგარნი გამოცდილ ბერს ეძებდნენ რათა რჩევა დარიგება მიეღოთ მისგან. სწორედ ასეთი ბერი იყო კიევიდან მოშორებით კიტაევოს სავანეში მოღვაწე, სქემ — მონაზონი დოსითე. ბერმა მაშინვე დაინახა მასში ღვთის მადლი, და საროვის სავანეში წასასვლელად აკურთხა. შინ დაბრუნებული ღვთისმოყვარე ყმაწვილი სამუდამოდ გამოემშვიდობა დედას, ნათესავებს, და ორ თანამოძმესთან ერთად პროხორე წავიდა საროვში.1778 წლის 3 დეკემბერს, საღამოს ბინდში სამი ახალგაზრდა მლოცველი მიადგა საროვის ჭიშკარსა და აი, ახდა მათი სანუკვარი ნატვრა. უფლის მაძიებლებმა მყუდრო ნავსაყუდელი ჰპოვეს. სადაც მამა პახომი, წინამძღვრობდა. მან თბილად მიიღო პროხორე და მოძღვრად ბერი იოსები მიუჩინა.ახალი მორჩილი პროხორე ყოველთვის დიდი მორჩილებით გამოირჩეოდა, ყოველივეს სრულყოფილად გულმოდგინედ ასრულებდა. გამუდმებული შრომით ის თავს იცავდა მოწყენილობისგან, რომელიც, როგორც შემდგომში აღნიშნავდა ყველაზე საშიში საცდურია. წმინდა სერაფიმე, უფრო მეტად, რომ განწმენდილიყო ხორციელი ვნებებისგან, უფალმა ბერობის დასაწყისშივე მოუვლინა სენი, მონასტერში მისვლიდან ორი წლის შემდეგ ახალგაზრდა მორჩილი წყალმანკით დაავადდა, მთელი სხეული გაუსივდა და საშინლად იტანჯებოდა, სამი წელი ავადმყოფობდა, მაგრამ ექიმი არ გაიკარა და მან მამა პახომს თვინიერად მიუგო: "ჩემი თავი წმინდა მამაო, სულისა და ხორცის ჭეშმარიტ მკურნალს, უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს მივანდე", თქვა მან და ზიარება ითხოვა. ბერმა იოსებმა ჯანმრთელობის პარაკლისი გადაუხადა, ახსარება ჩაიბარა და აზიარა. ამის შემდეგ პროხორე მალე გამოჯანმრთელდა. იგი ყველას უამბობდა, თუ როგორ გამოეცხადა წმინდა ზიარების შემდეგ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, პეტრე მოციქულისა და იოანე ღვთისმეტყველის თანხლებით. ღვთისმშობელი იოანე ღვთისმეტყველისაკენ შებრუნდა სნეულზე მიუთითა და განაცხადა: "ესე შენი მოდგმისა არს", ე.ი ზეციურიაო. წმინდა საროვის უდაბნოში 8 წლიანი მორჩილების შემდეგ 1786 წლის 13 (26) აგვისტოს, მარხვის დასასრულს, ილუმენმა პახომმა პროხორე ბერად აღკვეცა. მას სახელად სერაფიმე ეწოდა იგი ებრაულად "ცეცხლოვანს", ძვ. ქართულად კი "ცეცხლებ დამწველნი“ ნიშნავს. ეს სახელი მართლაც რომ შეეფერებოდა მის მგზნებარე სიყვარულს უფლისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი. ურთიერთობებში ბერი მუდამ გულთბილი და ალერსიანი იყო. მას გულისთქმაშიც არ უდარდია ამქვეყნიური ცხოვრებისგან განდგომა "ვითარცა მწიფე ნაყოფი, ისე მიეცა ხელთ უფალს". შემდეგ სერაფიმე მსახურობდა ტაძარში და ღვთისმსახურების შემდეგაც გამუდმებით ლოცულობდა. უფალმა არაერთხელ გახადა იგი საღვრთო ხილვების ღირსი, მამა სერაფიმე წირვა ლოცვის დროს ცხადად ხედავდა ანგელოზებს. განსაკუთრებული მადლით აავსო წმინდა მამა, თავად მაცხოვრის გამოცხადებამ, დიდ ხუთშაბათს საღმრთო ლიტურგიაზე, ამ ხილვის შემდეგ უფრო გაამკაცრა ღვაწლი.1793 წლის 15 სექტემბერს ღვთის სიტყვით ანთებული მამა სერაფიმე უდაბნოში განმარტოების სურვილით აენთო. და განდეგილობა გადაწყვიტა. მალე სავანის წინამძღვარი, მამა პახუმი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან წმინდანს მეუდაბნოებაზე მისცა კურთხევა. სერაფიმემ ახალი წინამძღვრისგანაც აიღო ლოცვა-კურთხევა და მონასტრიდან ხუთი ვერსის მოშორებით, მდინარე საროვოს ნაპირზე, უდაბურ ფიჭვნარში ამაღლებულ ბორცვზე ერთოთახიან ხის სენაკში დასახლდა.მთელი კვირის განმავლობაში აქ ლოცულობდა და მხოლოდ შაბათობით, მწუხრის წინ მიდიოდა სავანეში. ლიტურგიის შემდეგ კი უკან ბრუნდებოდა, მაცხოვრის სისხლთან და ხორცთან ზიარებით განმტკიცებული. ღირსი მამა მკაცრ ღვაწლში იყო: თავისი ტიპიკონი მან ძველ უდაბნოთა სავანეების ტიპიკონების მიხედვით შეადგინა. კვირის განმავლობაში ახალ აღთქმას ჩაიკითხავდა ხოლმე. აგრეთვე, კითხულობდა წმინდა მამათა თხზულებებს და საღვთისმსახურო წიგნებსაც. სერაფიმემ შეისწავლა მრავალი საგალობელი და ტყეში მუშაობის დროს ზეპირად გალობით აღავლენდა ლოცვებს. მან იქვე პატარა ბოსტანიც მოაწყო, ფუტკარიც მოაშენა და თავის ლუკმა- პურს საკუთარი შრომით მოიპოვებდა.ბერი სერაფიმე ძალიან ცოტას ჭამდა, საკვებს დღეში მხოლოდ ერთხელ იღებდა. ოთხშაბათს და პარასკევს არაფერს მიირთმევდა. დიდმარხვის პირველ კვირას შაბათამდე არაფერს ჭამდა, შაბათს კი წმინდა საიდუმლოს ეზიარებოდა. წმინდა სერაფიმესთან რჩევის და ლოცვა-კურთხევისთვის მოდიოდნენ როგორც მონასტრის ძმები, ისე ერისკაცებიც. იგი ყოველ ღამით ტყეში ერთ უზარმაზარ ლოდზე ადიოდა და ხელაპყრობით ლოცულობდა. დღისით კი კელიაში აგრძელებდა ლოცვს, სადაც ტყიდან მოტანილ ქვაზე იდგა, საიდანაც იშვიათად ჩამოდიოდა. ასე ლოცულობდა წმინდანი 1000 დღე-ღამის განმავლობაში. უდაბნოში ათწლიანი ცხოვრების შემდეგ 1804 წლის 12 სექტემბერს, ერთხელ, როდესაც მამა სერაფიმე ტყეში შეშას ჩეხავდა, მასთან სამი უცნობი გლეხი მივიდა და ფულის გამოძალვა დაუწყეს. ბერმა უთხრა, რომ მას არაფერი ჰქონდა მაგრამ მათ არ დაუჯერეს და თავს დაესხნენ. მამა სერაფიმე ფიზიკურად ძლიერი ადამიანი იყო, თანაც ნაჯახი ეჭირა და თავის დაცვაც შეეძლო. როგორც შემდგომში იხსენებს, ამ აზრმა თავში გაუელვა, მაგრამ უმალვე მაცხოვრის სიტყვები გაახსენდა და "ყოველთა რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდნენ". წმინდა მოწამემ მშვიდად დაუშვა ნაჯახი და უთხრა: "რაც გინდათ ის მიყავით". ყაჩაღებმა სასტიკად სცემეს ღირსი მამა, თავი გაუტეხეს, ნეკნები ჩაუმტვრიეს, შემდეგ სენაკისკენ გაათრიეს, ხელები შეუკრეს და სენაკის ჩხრეკას მიჰყვნენ. ცოტა ხანში მოულოდნელად ყაჩაღები შიშმა აიტანა და შეძრწუნებულნი გაიქცნენ. სერაფიმე ღვთისმშობელმა თავისი გამოცხადებით განკურნა ჭრილობებისგან.

1807 წელს იღუმენი ისაია გარდაიცვალა, მამა სერაფიმე შემდეგ ახალ ღვაწლს სრულ მდუმარებას ირჩევს. იგი მნახველებთან საერთოდ აღარ გამოდიოდა. თუ ტყეში ვინმეს გადაეყრებოდა, პირქვე დაემხობოდა და შემხვედრის წასვლამდე არ წამოდგებოდა. ამგვარ ღვაწლში გალია წმინდანმა სამი წელიწადი, კვირის წირვაზეც კი არ მიდიოდა სავანეში. 1825 წლის 25 მოემბერს ღვთისმშობელმა მას გამოცხადებით მოუწოდა ხალხის სამსახურისკენ და ამ დღის შემდეგ მისი კელიის კარები ღია იყო ყველა მსურველისთვის. იგი ლოცვებით კურნავდა ადამიანებს. წმინდა სერაფიმე განსაკუთრებულად ზრუნავდა დივეევოს დედათა სავანეზე. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ლოცვის დროს ჰაერში ამაღლებულიც უხილავთ. საოცარი იყო ღირსი სერაფიმეს ცხოვრება და საკვირველი იყო მისი აღსასრული.უკანასკნელ წელს ბერი ძალიან დასუსტდა. სისუსტის გამო ღირსი მამა იშვიათად დამოდიოდა მონასტრიდან, ხალხსაც ნაკლებად იღებდა. ხშირად იკეტებოდა ეს მას ეხმარებოდა სხვა ცხოვრებაში გადასასვლელ მზადებაში. მას ხშირად ხედავდნენ სენაკის შესასვლელში. იქ წმინდა ბერი დიდხანს იჯდა კუბოზე, რომელიც თავისთვის შეამზადებინა, ღირსმა მამამ ითხოვა მიძინების ტაძრის საკურთხეველთან დაეკრძალათ. მის მიერ წინასწარ მინიშნებულ ადგილას. მამა სერაფიმემ განჭვრიტა თავისი აღსასრულის მოახლოება და სულიერ შვილებთან განშორებისთვის იწყო მზადება. ხშირად აფრთხილებდა მნახველებს: "ჩვენ აწი ვეღარ შევხვდებით". დედა პარასკევას ეუბნებოდა: "ამიერიდან მარტო იცხოვრეთ, გტოვებთ!"1833 წლის 14 იანვარის დილას იგი უკანასკნელად მივიდა

ეკლესიაში. იგი უჩვეულოდ იქცეოდა, ყველა ხატთან სანთელი დაანთო და ემთხვია. ასეთი რამ ადრე არ გაუკეთებია. ისეთნაირად "ემშვიდობებოდა", უფრო ზუსტად კი ემზადებოდა წმინდანებთან შესახვედრად.ყველა ხვდებოდა, რომ ჩვეულებრივი ბერი კი არა, სრულიად მართლმადიდებლურ რუსეთში აღიარებული ღვთის წმინდანი ტოვებდა მათ.15 იანვარის, დილის ექვსი საათისთვის წმინდანის მორჩილმა პავლემ მისი კელიიდან გამომავალი დამწვრის სუნი იგრძნო, წმინდანი ყოველთვის ანთებდა სანთლებს, მაგრამ ამბობდა, "სანამ ცოცხალი ვარ ჩემს კელიაში ცეცხლი არ გაჩნდება, ჩემი სიკვდილი ხანძრით გაცხადდება".როდესაც კარები გააღეს, დაინახეს, რომ წიგნებს და სხვა ნივთებს ცეცხლი მოსდებოდა. მამა სერაფიმე კი მცირე ანალოგიის წინ ლოცვაში მუხლებმოყრილი იხილეს, მის წინ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი "მოალერსე" იდგა. წმინდანის ნაწილები რვა დღის მანძილზე ტაძარში იყო დასვენებული. შემდეგ იგი მისივე არჩეულ ადგილზე მიაბარეს მიწას. სადაც განისვენებდა 70 წლის მანძილზე, 1903 წლამდე.მამა სერაფიმემ სასწაულის ძალით სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც უამრავი ადამიანი განკურნა დამბლისგან, სიბრმავისგან და სხვა სნეულებებისგან.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში წმინდა სერაფიმ საროველის სახელობის დედათა მონასტერია დაფუძნებული. წმინდა სერაფიმ საროველის სახელობის ტაძარში დედათა მონასტრის შექმნა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრი კაპანაძემ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე აკურთხა. სოფელ სამრეკლოში ღირსი სერაფიმ საროველის სახელობის XIX საუკუნის ტაძარს რესტავრაცია ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით განხორციელდა. ხელახლა აშენდა გუმბათი, გამაგრდა და შეილესა დაბზარული კედლები. განახლებული ტაძარი 2012 წლის 1 აგვისტოდან მოქმედებს. მანამდე სოფელ სამრეკლოს მოქმედი ეკლესია მრავალი ათეული წლის განმავლობაში არ ჰქონდა. ეკლესია მე—19 საუკუნეშია აშენებული და სერაფიმე საროველის სახელობის ერთადერთი ტაძარია საქართველოში. მეოცე საუკუნის დასაწყისის (სავარაუდოდ 1903-1905 წლები) ჯვარგუმბათოვანი ტაძარი სოფ. სამრეკლოს განაპირას. იგი რუსული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ფორმებით გამოირჩევა. არსებობს მოსაზრება, რომ წმ. სერაფიმ საროველის სახელზე აგებული პირველი ტაძარია მსოფლიოში.

P.S. დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სოფელ სამრეკლოში საზეიმო წირვას დაესწრნენ.

წმ. სერაფიმე საროველის ხსენების დღესთან დაკავშირებით სამრეკლოს წმ. სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარში წირვა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ ჩვენი ეპარქიის სასულიერო პირებთან და სტუმრებთან ერთად აღავლინა.

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

რატომ არ მოგვწონს პასუხისმგებლობა?

„პრინცის ტირანია ფეოდალურ სახელმწიფოში საერთო კეთილდღეობისთვის ნაკლებ მავნებელია, ვიდრე მოქალაქის აპათია დემოკრატიულ სახელმწიფოში.“

შარლ ლუი დე მონტესკიე

ეს ბლოგპოსტი არც სწავლებაა და არც წყალგაუვალი სიმართლე. მას ყველა თავისებურად აღიქვამს, უბრალოდ შორიდან უნდა დავიწყო. სხვანაირად არ გამოვა. თემაც მგონი აქტუალურია, თანაც დღეს ყველა და ყველაფერი ერთმანთთანაა დაკავშირებული. თუმცა, ყოველთვის მეგონა, რომ ადამიანი საკუთარ თავს თვითონ აყალიბებს, უბრალოდ სხვები ამაში აქტიურად ეხმარებიან: ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, ალბათ რელიგიაც (ეს ინდივიდუალურია), მეგობრები და ა.შ. უბრალოდ, შენ, ადამიანი, საზღვრი, რა არის შენი პრიორიტეტი: გინდა თუ არ გინდა განვითარება, გინდა თუ არა წინსვლა, რამდენად გინდა რაღაც ახლის გაგება, ახლის შემეცნება. სხვა ამაში სრულად ვერასოდეს დაგეხმარება, თუ ეს შენს ინტერესებშიც არ შედის. როდესაც რაღაცას ვამშენებთ, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გაგებითაც საკუთარ თავს ვუშენებთ.

ადამიანი შრომობს. ანდაც უნდა რომ იშრომოს. უნდა რომ იშრომოს, მაგრამ ვერ შრომობს. ანდაც ვერ შრომობს, მაგრამ სხვის შრომას მაინც სცემს პატივს. ეს ხომ ერთი შეხედვით ბუნებრივი მოვლენაა არა? თუმცა, არსებობს ერთი მაგრამ, რომლის წინ ნათქვამიც აზრს კარგავს, როგორც კი "მაგრამის" შემდგომ წინადადება დაიწერება. ჩვენ ყველას გვჭირდება ერთმანეთის მხარდაჭერა, თანადგომა, ერთმანეთის შრომის დაფასება, იმის შეგრძნება, რომ რაღაცას ფასი აქვს, რაღაც მნიშვნელოვანია, გრძნობ, რომ რასაც აკეთებ არსად არ იკარგება და არსად მიდის. უბრალოდ შენ გაქვს პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა ჯერ საკუთარი თავის, შემდეგ ოჯახის, შემდეგ საზოგადოებისა და ქვეყნის მიმართ. ანდაც უბრალოდ იმათ მიმართ, ვინც ძალიან გიყვარს, ან არ გიყვარს, მაგრამ მაინც ერთ საზოგადოებაში გიწევთ ცხოვრება. ესაა უბრალოდ ადამიანური პასუხისმგებლობა ადამიანების მიმართ. პასუხისმგებლობა, რომ სამოქალაქო განათლების ლექსიკონით განმარტო, კანონით გათვალისწინებული მოვალეობაა, რომელიც საკუთარ ქმედებაზე, ან უმოქმედობაზე პასუხისგებას გულისხმობს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ უმოქმედობაზე პასუხისმგებლობა ნაკლებად „პოპულარულია“ დღევანდელ სოციუმში. მაგალითად, ხელისუფლება პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, რაც, მაგალითად, უკანონო დაკავების, ან წამების მსხვერპლთათვის კომპენსაციის გადახდაში გამოიხატება, როგორც ეს შესაბამისი კონვენციებითაა გათვალისწინებული. ეს ცოტა აკადემიური სიტყვებით... მაგრამ იმისთვის, რომ პასუხისმგებლობაზე ვისაუბროთ, ჯერ უნდა გავიაზროთ ვინაა მოქალაქე, რა მოვალეობები, როლები და შემდეგ პასუხისმგებლებლობები აქვს მას.

მოქალაქის ცნება პირველად ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფო ათენში გაჩნდა და შემდეგ სხვა ქალაქ-სახელმწიფოებშიც გავრცელდა. ცნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას აღნიშნავდა. ძველ საბერძნეთში მოქალაქეები კანონის წინაშე თანასწორნი იყვნენ. უფრო მეტიც, მოსახლეობის მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, ყველას, ვისაც მოქალაქის სტატუსი ჰქონდა, შეეძლო სახელმწიფო საქმეებში პირადად მიეღო მონაწილეობა - მოქალაქეები იკრიბებოდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და კამათობდნენ სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, კანონის შეცვლაზე ან მიღებაზე და ნებისმიერ სხვა საკითხზე. დღეს, მოქალაქის როლები ძირეულად არ შეცვლილა. უბრალოდ, მისი სწორად აღქმისა და გამოყენების პრობლემა უფროა. მაშინ, როცა ამის შესაძლებლობა დღევანდელ მსოფლიო მოქალაქეს ყველაზე მეტად აქვს. დღესაც მოქალაქის ერთ-ერთი უმთავრესი როლი სოციალურ ცხოვრებაში-არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში მონაწილეობაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქალაქის სოციალური როლი თემის განვითარებაში. მას შეუძლია, ინდივიდუალურად ან ორგანიზაციის ფარგლებში, საზოგადოებისთვის საჭირო აქტივობებით დაეხმაროს სოციალურად დაუცველებს, ბავშვებს ან მოხუცებს; ჩაატაროს ან მონაწილეობა მიიღოს საქველმოქმედო ღონისძიებებში. იზრუნოს ცხოველების, ზოგადად, გარემოს დაცვასა და კეთილდღეობაზე. საქართველოს მოქალაქე, ისევე, როგორც საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი, ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს, იხდიდეს გადასახადებს, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, „საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა“. მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქე პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესრულებას - პატივი სცეს და ანგარიში გაუწიოს სხვების ინტერესებს, სიფრთხილით მოეპყრას საზოგადოებრივ სიკეთეებსა და ქონებას, იზრუნოს მათ გაუმჯობესებაზე (მაგალითად, დარგოს ხე ან დაასუფთაოს საერთო ტერიტორია, უარი თქვას გარემოსთვის მავნე ნივთიერებების ან საგნების გამოყენებაზე და ა.შ.). ეს როლი, ბუნებრივია, ნებაყოფლობითია, თუმცა საზოგადოებებში, რომელთა მოქალაქეებიც პირადი პასუხისმგებლობით არიან განმსჭვალულნი, ცხოვრება გაცილებით სასიამოვნოა. მაგრამ...

ამ სასიამოვნო ცხოვრებას ხშირად სხვა ხედვის კუთხეც აქვს. უსიამოვნო, მაგრამ აუცილებელი სათქმელი. ხანდახან გვავიწყდება, რომ ქვეყნის დაცვა მხოლოდ შეიარაღებული ძალებით არ ხდება, გვავიწყდება, რომ სამშობლოს მოფრთხილება ბუნებრივი და კულტურული გარემოს მოფრთხილებითაც ხდება, გვავიწყდება, რომ საზოგადოებრივი სიკეთეებისა და ქონების სიფრთხილით მოპყრობა ქვეყნის სიყვარულის ერთ-ერთი ფორმაა, გვავიწყდება, რომ ყველა კანონს უნდა ვემორჩილებოდეთ. ხშირად ყველას ყველაფერი ავიწყდება, გარდა საკუთარი ეზოს შიგნით არსებული მდგომარეობისა, გარდა ანდაზისა „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო“, გარდა „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“...დიახ, ხშირად გვავიწყდება, რომ იმას, რასაც სხვა შრომით მოიპოვებს, ჩვენ მხოლოდ 10 თეთრიანი ასანთით შეგვიძლია მოვუღოთ ბოლო. როცა შენივე კეთილდღეობისთვის გაკეთებულს ანადგურებ, რატომღაც არ გვიყვარს იმის შესსენება, რომ დამნაშავეები ვართ. პასუხისმგებლობის აღიარება და მიღება არ გვინდა. დიახ, ჩვენ არ მოგვწონს პასუხისმგებლობა. ხშირად დასანახადაც ვერ ვიტანთ, მოსასმენად რომ აღარაფერი ვთქვათ. რამდენადაც ჩვენი უფლებების ბრძოლის ველზე ხმლად გამოყენება შეგვიძლია, იმდენადვე უნდა შეგვეძლოს ამ უფლებების თანმდევი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ფარად გამოყენება. რადგან, უფლება მოვალეობის გარეშე არაფერია, ხოლო მოვალეობას პასუხისმგებლობებით განმტკიცებულს მტკიცე და მართლაც სასიამოვნო ცხოვრების კატალიზატორად შეუძლია მოვლინება. მოქალაქის აპათია დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველაზე საშიში რამაა. ხილულ და არახილულ მტრებს შორის ყველაზე ძლიერი. თუმცა, მაინც ვერ დავუმეგობრდით, ვერ შევისისხლხორცეთ და გავიაზრეთ მისი მნიშვნელობა. რატომ არ მოგვწონს ის? იმიტომ ხომ არა, რომ ხშირად ის ჩვენი კომფორტის ზონას არღვევს? იმიტომ, ხომ არა, რომ ის ფიქრს და მოქმედებას ერთმანეთს აკავშირებს და გვაიძულებს, ყველაფერი ავწონოთ, დავწონოთ და 101-ე ცდაზე გავჭრათ? იქნებ, სწორედ 101 ცდაზე მივხვდეთ, რომ ხშირად პასუხისმგებლობის გრძნობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კომფორტის ზონასთან საკმაოდ დიდხნიანი თანაარსებობა.

ვინ იცის...

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ეტიკეტირების თეორია

სოციალური ფსიქოლოგები იყენებენ სხვადასხვა თეორიულ პერსპექტივებს იმისათვის, რომ გაიგონ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები. მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი თეორიული პერსპექტივა „სიმბოლური ინტერაქციონიზმი“ გამოდგა, რომლის მიხედვითაც ადამიანები საგნების მიმართ მოქმედებენ იმ მნიშვნელობების საფუძველზე, რომლებიც ამ საგნებს მათთვის აქვს. მაშასადამე, სოციალური სამყარო შედგება იმ მნიშვნელობებისაგან, რასაც ადამიანები საგნებსა და მოვლენებს ანიჭებენ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელობები სოციალური ინტერაქციის შედეგია და რაც მთავარია, მნიშვნელობები განმარტებადი და მოდიფიცირებადია ინტერპრეტაციების საშუალებით, რომელიც შეიძლება იცვლებოდეს კულტურიდან კულტურამდე, დროის ერთი ეპიზოდიდან მეორე ეპიზოდამდე, გამოცდილებიდან გამოცდილებადმე და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით , ამ პერსპექტივის მიხედვით, ადამიანები ერთმანეთთან ინტერაქციისას, სიმბოლოების საშალებით, ქმნიან მნიშვნელობას.

სიმბოლური ინტერაქციონიზმის ჩარჩოში დევიაციის კვლევისას ყურადღება ექცევა იმას, თუ როგორ განმარტავენ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში დევიაციას . მაგალითად: ზოგი მშობელი უარს იძახის ბავშვის ნებისმიერი სახის ფიზიკურ დასჯაზე, მაშინ, როდესაც ზოგი მშობელი საჯდომზე წამორტყმას დასაშვებად მიიჩნევს და იყენებს იმისათვის რომ ბავშვმა ოჯახში არსებული ნორმები დაიცვას. არიან ის მშობლები დევიანტები, რომლებიც თავიანთ შვილებს მსგავსი სახისთ სჯიან? პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისი პერსპექტივიდან შევხედავთ საკითხს.

დევიაციის სიმბოლური ინტერაქციონისტული პერსპექტივის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამხსნელ თეორიად ითვლება ჰოვარ ბეკერის "ეტიკეტირების" თეორია, რომლის მიხედვითაც, არცერთი ქცევა არაა "მემკვიდრეობით" დევიანტური, იქამდე, სანამ ხალხი არ "მიაკერებს" დევიაციის იარლიყს.

ამ თეორიის მიხედვით, "იარლიყი", რომელიც მიაკერეს გარკვეულ ადამიანებს, გავლენას ახდენს ამ ადამიანების მიერ როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიერ მათ აღქმაზე, რომელიც საბოლოო ჯამში ადამიანებს უბიძგებს კონფორმული ან დევიანტური ქცევის განხორციელებისაკენ.

მაგალითად: 1970 იან წლებში William Chambliss სწავლობდა სკოლის მოსწავლეების ორ ჯგუფს, იმისათვის რომ გარკვია თუ რა ძალის ზემოქმედება შეეძლო იარლიყებს. რვა ბიჭი საშუალო კლასის ოჯახიდან იყვნენ და იყო იმის მოლოდინები, რომ ცხოვრებაში რაღაცას მიაღწევდნენ პოზიტიური გაგებით, მეორე ჯგუფი კი ექვსი ბიჭი იყო გაერთიანებული ძირითადად დაბალი კლასის ოჯახებიდან, რომლებზეც ფიქრობდნენ რომ ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევდნენ და ცუდად დაამთავრებდნენ. ორივე ჯგუფს ახასიათებდა დევიანტური ქცევა, სკოლის გაცდენა, ვანდალიზმი და

ასე შემდეგ, თუმცა განსხვავებულად ისჯებოდნენ. მასწავლებლები, პოლიცია და ზოგადად საზოგადოება პატიობდა საშუალო კლასის ოჯახის წარმომადგენელ ბიჭებს, რადგან ისინი საერთო ჯამში "კარგ" ბიჭებად მიიჩნეოდნენ მაშინ, როდესაც იგივე ქცევისათვის მეორე ჯგუფს უჩიოდნენ ,მკვეთრად ნეგატიური უკუკავშირი და შეფასებები ჰქონდათ მათ ქცევაზე. ანუ მსგავსი დარღვევებისას მეორე ჯგუფი უფრო ხშირად ისჯებოდა ვიდრე პირველი. წლების შედმეგ, პირველი ჯგუფის თითქმის ყველა წევრმა დაამთავრა უნივერსიტეტი და აიწყო პროფესიული კარიერა, რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მათგან ორმა მოახერხა კოლეჯში სწავლა ათლეტური სტიპენდიის დამსახურებით,რის შემდეგაც მწვრთნელები გახდნენ, ორმა ვერ დაამთავრა სკოლა და დანარჩენი ორი ციხეში მოხვდა.

Chambliss-მა აღმოაჩინა, რომ ბიჭების სოციალური კლასი და ის, თუ როგორ აღიქვამდა საზოგადოება მათ დევიანტურ ქცევას, კავშირში იყო ერთმანეთთან. მან ასევე ჰიპოთეზა გამოთქვა, რომ დევიანტის იარლიყი შესაძლოა თვით-განვითარების გზის წინასწარმეტყველებაც კი გამხდარიყო. იმდენი ხანი ესმოდათ ნეგატიური მოლოდინები და მოსაზრებები მეორე ჯგუფს, რომ უმრავლესობა ამ მოლოდინებისა და მოსაზრებების შესაბამისად მოიქცა.

აშკარაა, რომ ჩვენ მიერ მიკერებული იარლიყი გავლენას ახდენს არა მარტო იმაზე თუ ვის მივიჩნევთ დევიანტად, არამედ იმაზეც, თუ როგორ სანქციებს ვუწესებთ მათ, ანუ როგორ ვსჯით, რაზეც მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ჩვენი საზოგადოების რეაქცია "თეთრსაყელოიანთა" და კორპორატიულ დანაშაულზე არაერთგვაროვანია და მნიშვნელოვნად განსხვავდება „ჩვეულებრივი კრიმინალის“ შესახებ არსებული აზრისგან. თავიანთ სახელმძღვანელოში „სოციოლოგია“ კრეგ კალჰუნი, დონალდ ლაითი და სუზენ კელერი წერენ, რომ ადამიანი, რომელიც აშშ-ში ბენზიგასამართ სადგურს ძარცვავს და 250 დოლარი მიაქვს, 6 თვის განმავლობაში იხდის სასჯელს. ის ადამიანი კი, რომელიც 2,5 მილიონ დოლარს იპარავს ბირჟაზე აქციების უკანონო ვაჭრობით, მხოლოდ ფულს აბრუნებს უკან გარდა იმისა, რომ გარკვეულ პროცენტის გადახდაც უწევს, რომელიც ჯარიმის ერთგვარი ფორმაა. ტერორისიტი, რომელიც დიპლომატის მანქანაში ბომბს დებს, პასუხს აგებს კონსპირაციისა და კრიმინალური მკვლელობისთვის მაშინ, როდესაც ფორდის მანქანების კომპანიამ, რომელიც მილიონობით "პინტოს" ყიდდა გაზის ავზით და იცოდა რა შეიძლება მომხდარიყო თუ ამ მანქანებს ვიღაც უკნიდან დაეჯახებოდა, 500 ადამიანის სიცოცხლის სანაცვლოდ მხოლოდ მიოლიონები გადაიხადა ზარალისათვის, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია დამნაშავედ არ უცვნიათ.

შეჯამებისთვის კი შეიძლება ითქვას, რომ იარლიყებმა ადამიანებს შეიძლება უბიძგოს როგორც დევიანტური, ასევე კონფორმული ქცევისაკენ, გავლენა მოახდინოს მათ მიერ როგორც საკუთარი, ასევე სხვების მიერ მათი აღქმის ფორმირებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ დევიანტის იარლიყის მქონე და დევიანტის იარლიყის არმქონე ინდივიდებმა შესაძლოა ერთი და იგივე ნორმების დარღვევისათვის განსხვავებულად აგონ პასუხი.

ერეკლე ჩერქეზიშვილი

„მტკიცე სული 2019“

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე ვკითხულობთ: „საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში განევრიანება წარმოადგენს. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატო-ს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატო-ში განევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, მნიშვნელოვანწილად უნყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და მომავალი წევრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში“.

აუცილებელია, გავიხსენოთ ნატო-საქართველოს ურთიერთობების განვითარების ისტორია. ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო ნატო-ს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC) შეუერთდა, რომელიც 1997 წელს შეიცვალა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოთი (EAPC - Euro-Atlantic Partnership Council). აღნიშნულ ფორმატში, რომელშიც პარტნიორი და წევრი ქვეყნები სხვადასხვა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს განიხილავენ, საქართველო დღემდე აქტიურად არის ჩართული. 1994 წელს საქართველო ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PFP - Parntnership For Peace) პროგრამის თანამონაწილე გახდა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებში ერთობლივად იმართება სამხედრო წვრთნები და სამეთაურო-საშტაბო სწავლებები. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სემინარებსა და კონფერენციებში.

2002 წელს ნატო-ს პრაღის სამიტზე საქართველომ გააკეთა ოფიციალური განაცხადი ქვეყნის ალიანსში განევრიანებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი. 2004 წლიდან ნატო-საქართველოს თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდა. კერძოდ, 2004 წლის 29 ოქტომბერს, ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოების და ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების წარმატებით განხორციელების მიზნით, საქართველო გახდა პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ალიანსმა დაიწყო ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP - Individual Partnership Action Plan) ფორმატში თანამშრომლობა. 2006 წლის 21 სექტემბერს, ნიუ იორკში გამართულ ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოსთან დაეწყო „ინტენსიური დიალოგი განევრიანების საკითხებზე“ (ID-Intensified Dialogue on Membership Issues). აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად საქართველო ფორმალურად გადავიდა პარტნიორობის ფორმატიდან ალიანსის წევრობის კანდიდატობის - ასპირანტის ფორმატზე.

საქართველოს მიერ IPAP-ით აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელების და ინტენსიური დიალოგის ფარგლებში თანამშრომლობის პროცესში მიღწეული პროგრესის საფუძველზე, 2008 წლის 3 აპრილს, ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება (Bucharest Summit Declaration), რომ „საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა“. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გზავნილს საქართველოს ნატო-ში განევრიანების გზაზე.

ძალზედ აქტიურია თანამშრომლობა ალიანსსა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთად ალიანსი საქართველოში ახორციელებს რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს. ნატო-საქართველოს წარმატებული სამხედრო თანამშრომლობის დადასტურებაა 2014 წლის 11-12 თებერვალს და 2017 წლის 2-3 მარტს საქართველოში გამართული ნატო-ს სამხედრო კომიტეტის ვიზიტები. 27 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით საქართველო მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებას „Agile Spirit 2019“ („მტკიცე სული 2019“) მასპინძლობს. „Agile Spirit 2019“ წინა წლებთან შედარებით ყველაზე მასშტაბური საველე სწავლებაა, სადაც ფართოდ იქნება წარმოდგენილი ქართული და ამერიკული სამხედრო ტექნიკა. სწავლება ოფიციალურად სენაკში, II ქვეითი ბრიგადის ბაზაზე 27 ივლისს გაიხსნა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს. „მრავალეროვნული სწავლება სრულიად პასუხობს ჩვენი ქვეყნის მიერ გაცხადებულ პოლიტიკას - მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში. Agile Spirit 2019 წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ სწავლებას, რომელიც საქართველოში ტარდება. აღნიშნული სწავლება არის კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს ნატოში მიმავალ გზაზე,“ — ამ სიტყვებით გახსნა სენაკში საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ მრავალეროვნული სწავლება „Agile Spirit 2019“. II ქვეითი ბრიგადის ბაზის საწყობრო მოედანზე მოწყობილ სწავლებაში მონაწილე პირად შემადგენლობას სიტყვით მიმართა აშშ-ის ჯორჯიის შტატის არმიის მეთაურმა, ბრიგადის გენერალმა რანდელ სიმონსმა. ***„საქართველო აშშ-ის მთავარი სტრატეგიული პარტნიორი და იმ ალიანსში შემავალი წევრია, რომელიც მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის იბრძვის. Agile Spirit 2019 უფრო მეტია, ვიდრე აშშ-სა და საქართველოს ხელმძღვანელობით გამართული სწავლება. მასში 14 ქვეყნის 3000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურეა ჩართული. ამ საერთაშორისო წვრთნაში მონაწილეობა კი, იმის ნათელი დასტურია, რომ მხარს უჭერ რეგიონისა და მსოფლიოს მშვიდობასა და სტაბილურობას,“*** - განაცხადა ამერიკელმა გენერალმა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „Agile Spirit 2019“ საქართველოში უკვე მეცხრედ ტარდება. წლევანდელი სწავლების მიზანია მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლება, ოპერატიული შესაძლებლობების დახვეწა და გაძლიერება მრავალეროვნულ გარემოში ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების დროს; მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების განვითარება ალიანსისა და პარტნიორი ქვეყნების ქვედანაყოფებს შორის; ასევე, შავი ზღვის რეგიონში სტაბილურ და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებაში წვლილის შეტანა. სწორედ ამიტომ, სწავლების მთავარი გზავნილია - „ძალა პარტნიორობაშია“.

„წლევანდელი სწავლება სამ ლოკაციაზე - სენაკში, II ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე, ორფოლოსა და ვაზიანის პოლიგონებზე გაიმართება. მასში ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნის 3000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას. წელს სწავლებაში 14 ქვეყანაა ჩართული: საქართველო, აშშ, გაერთიანებული სამეფო, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, ნორვეგია, ბელგია, ბულგარეთი, საბერძნეთი, მონტენეგრო, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. მრავალეროვნული წვრთნა კომპლექსურია და მისი სცენარი ითვალისწინებს სამეთაურო-საშტაბო და საველე სწავლებებს საბრძოლო სროლებით, სამანევრო და საბრძოლო მხარდამჭერი ელემენტების ურთიერთქმედებას გაერთიანებულ ოპერაციებში“ , - აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. მრავალეროვნული წვრთნა კომპლექსურია და მისი სცენარი ითვალისწინებს სამეთაურო-საშტაბო და საველე სწავლებებს საბრძოლო სროლებით, სამანევრო და საბრძოლო მხარდამჭერი ელემენტების ურთიერთქმედებას გაერთიანებულ ოპერაციებში. მრავალეროვნული სამხედრო წვრთნები საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ევროპის სარდლობის სამხედრო ძალების ხელმძღვანელობით იმართება.

ნატო-საქართველოს ურთიერთობები 27 წელს ითვლის. ესაა ალიანსი, რომელთან ურთიერთობაშიც საქართველომ დღემდე გრძელი და მნიშვნელოვანი გზა განვლო. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს და ფასეულობებს ემყარება. ამ პრინციპებს ახლადფეხაყოლილი საქართველოც ნელ-ნელა იზიარებს და ცდილობს, თავდაცვის სფეროში დამატებითი სახსრების მოძიებას. თავდაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რადგან არ ახალია და დასამალიც არაა, რომ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხე საკმაოდ „მიმზიდველად“ გამოიყურება, ჩვენი „მეგობარი“ და „ერთგული“ მეზობლებისთვის. ნატოს კოლექტიური თავდაცვის ერთადერთ ორგანიზაციად განხილვა, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პოლიტიკური, სამხედრო და სხვა რესურსი, უზრუნველყოფს მისი წევრების უსაფრთხოებას და მშვიდობის შენარჩუნებას ევროატლანტიკურ სივრცეში.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

რისთვის ჩამოფრინდა საქართველოში ამერიკული „პოსეიდონი“

“პირველად საქართველოს აშშ-ის საზღვაო ძალების საპატრულო ავიახომალდი „ვ-8 პოსეიდონი“ ეწვია. ავიახომალდის ეფექტურობასა და მნიშვნელობაზე საუბრობს ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ „პოსეიდონს“ შეუძლია გააკონტროლოს მთელი შავი ზღვის აკვატორია და საქართველოს, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების, სანაპირო ზოლი. ანალიტიკოსი სამხედრო საკითხებში ვახტანგ მაისაია კი აცხადებს, რომ საქართველო ამერიკა-რუსეთის სამხედრო დაპირისპირების, ახალი ცივი ომის საკმაოდ მნიშვნელოვან არეალში იმყოფება. მისი თქმით, „ნესბიმიერი თეატრალიზებული გეოპოლიტიკური ქმედებები წარსულს ჩაბარდა,“ რადგან მაისაიას განცხადებით, დღეს ამ ორი ქვეყნის გამწვავებული ურთიერთობის ფონზე საქართველოს მნიშვნელობამ, როგორც სტრატეგიული პარტნიორის, მეორე პლანზე გადაინაცვლა“.

ალადაშვილის განცხადებით, მსგავსი ისტორიული მნიშვნელობის ვიზიტი 2000-იან წლებში მოხდა, როდესაც თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე იყო. იმ დროს „ავაქსის“ ტიპის შორეული რადიოლოკაციული აღმოჩენისა და მართთვის თვითმფინავის საქართველოში ჩამოსვლამ რუსეთის ხელისუფლების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. **„პოსეიდონი,“ - ეს არის ამერიკული, თანამედროვე, წყალქვეშა ნავების აღმომჩენი თვითმფრინავი, რომელიც შექმნილია სამგზავრო „ბოინგ-737“-ის ბაზაზე. მას დამატებული აქვს სპეციალური რადიოელექტრონული აპარატურა და ასევე გააჩნია შეიარაღებაც. მისი მთავარი ამოცანაა, ჯერ აღმოაჩინოს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავები, მათ შორის ატომური და, აღმოჩენის შემდეგომ, მათ წინააღმდეგ მართვადი შეიარაღება გამოიყენოს. „შავი ზღვის აკვატორიაში მას შეუძლია საკმაოდ ეფექტიანად გააკონტროლოს წყალქვეშა და წყალზედა სიტუაცია. ბოლო წლებში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობა ექვს წყალქვეშა ნავამდე გაიზარდა და ამ რუსულ წყალქვეშა ნავებს შეუძლიათ კალიბრის ტიპის ფრთოსანი რაკეტების გაშვება.** შავი ზღვის აკვატორიიდან სტარტის შემთხვევაში ევროპის დიდ ნაწილს ფარავენ. 2000-იანი წლების დასაწყისში, დავით თევზაძის მინისტრობის პერიოდში თბილისში ასევე პირველად დაჯდა „ავაქსის“ ტიპის შორეული რადიოლოკაციული აღმოჩენისა და მართთვის თვითმფინავი, რომელიც ნატო-ს საჰაერო თავალს წარმოადგენს, მაშინ ამ თვითმფრინავმა საჩვენებელი ფრენა განახორციელა კავკასიის ქედის გასწვრივ, სამხრეთის მიმართულებით, რამაც მაშინ რუსეთის ხელისუფლების დიდი პროტესტი მოჰყვა,“ - აღნიშნა ალადაშვილმა.

ისტორიული ვიზიტი - საქართველოში პირველად ჩამოფრინდა აშშ-ის საზღვაო ძალების საპატრულო ავიახომალდი P-8 პოსეიდონი, რომელმაც ვიზიტის ფარგლებში, შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, საქართველოს სანაპირო დაცვასთან ერთად, წვრთნები ჩაატარა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოსა და აშშ-ის მტკიცე სამხედრო პარტნიორობას. აღნიშნულია საქართველოში ამერიკის საელჩოს განცხადებაში. ვახტანგ მაისაია ამ ვიზიტს აშშ-ს ერთგვარ დემონსტრაციას უწოდებს. მისი თქმით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ***ამერიკის მთავარ სამიზნეს რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს, რომელთანაც ამერიკულ მხარეს ურთიერთობა საკმაოდ გამწვავებული აქვს. “პოსეიდონი” ებრძვის წყალქვეშა ხომალდებს და მისი ფუნქციაა დარტყმები მიაყენოს მათ. საკმაოდ სერიოზული სამხედრო ხომალდის სტატუსი აქვს. მისი შემოსვლა კი უკავშირდება შავ ზღვაში რუსული ფლოტის შეკავების პრევენციას. როგორც ჩანს, ეს ნატო-ს კონცეფციაში ჯდება, რომ მუდმივმოქმედი საზღვაო დაჯგუფების ფარგლებშიც მოიაზრებოდეს ამ ხომალდის შავი ზღვის აკვატორიაში შესვლა.*** „ჩვენთვის მას საკმაოდ სერიოზული მნიშვნელობა გააჩნია, თუმცა ამით ამერიკული მხარე იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ საქართველო აშშ-ის გეოსტრატეგიული ინტერესების ზონაშია და ჩვენ სამხედრო უსაფრთხოებას ამერიკისთვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საკუთარი სამხედრო-საზღვაო ძალები არ გააჩნია, საქართველოში ამერიკული ხომალდების შემოსვლის ხარჯზე ფუნქციის კომპენსირება ხდება. **აქ რეალურად ამერიკელების სამხედრო მოწინააღმდეგე რუსეთის ფედერაციაა. რუსეთიც თავის მხრივ თავის სამხედრო ძლიერების წარმოჩენას ახდენს“.**

“აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობა ისეთ დონეზე არის გართულებული, რომ ნებისმიერი გააქტიურება, განსაკუთრებით სამხედრო მნიშვნელობის, გამოიწვევს როგორც ერთის, ისე მეორე მხარის გაღიზიანებას. ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსების სამხედრო გააქტიურება დაიწყება, რასაც ამერიკელების გაღიზიანება მოჰყვება და პირიქით. ეს უკვე ახალი ცივი ომის ფაზაში გადავიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი თეატრალიზებული გეოპოლიტიკური ქმედებები წარსულს ჩაბარდა. ჩვენ უკვე შევედით ამერიკა-რუსეთის სამხედრო დაპირისპირების, ახალი ცივი ომის საკმაოდ მნიშვნელოვან არეალში,“- განაცხადა ვახტანგ მაისაიამ.

ირაკლი ალადაშვილი ავიახომალდის მნიშვნელობასა და მისი მახასიათებელი თვისებების შესახებ საუბრობს. მისი თქმით, “პოსეიდონს” შეუძლია მთელი შავი ზღვის აკვატორიის გაკონტროლება, ასევე საქართველოსა და ოკუპირებული ტერიტორიების სანაპირო ზოლის კონტროლი, რაც მნიშვნელოვანია. „ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „პოსეიდონებმა” შავი ზღვის აკვატორიის თავზე თუკი მოუხშირეს ფრენას, არ არის გამორცხული, რომ მრავალსაათიანი პატრულირების შემდეგ საწვავის მარაგის დამატება მოახდინონ. ამ თვითმფრინავს შეუძლია ძალიან ეფექტიანად გააკონტროლოს, როგორც მთელი შავი ზღვის აკვატორია, ასევე დასავლეთის სურვილის, ჩვენი თხოვნის თუ სხვა შემთხვევაში, საქართველოს სანაპირო ზოლის კონტროლი მოახდინოს, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე საზღვაო ზოლისაც კი,” - განაცხადა ირაკლი ალადაშვილმა.

ე ლ ი ა

დედოფლისწყაროს რაიონის მაცხოვრებელთა უმეტესობამ კარგად იცის ლეგენდები, რომელიც ელიის მთის ვიზუალიდან გამომდინარეა შექმნილი და თაობიდან თაობებს გადაეცემა. რადგან ელიას მთა გულზე ხელებდაკრეფილ, თმაგაშლილ ქალს ჰგავს, ლეგენდებიც აქედან გამომდინარე იქმნებოდა.

ადრეული ქრისტიანული საუკუნეებიდან მოყოლებული მრავალი რელიგიური მითი ვრცელდებოდა ელიის შესახებ. ჭექა-ქუხილის დროს ელია წინასწარმეტყველი ცაში თავის ეტლს დააქროლებდა და ეტლის თვლების გრიალი ჭექა-ქუხილის ხმას გამოსცემდა, ელვა კი იმ ეტლში შებმული ცხენების ფლოქვების დარტყმით წარმოშობილი ნაპერწკლები იყო. ამიტომ ელიას წვიმის, ჭექა-ქუხილის ღმერთს უწოდებდნენ.

ელიას მონასტერი მდებარეობს დედოფლისწყაროს სამხრეთ ნაწილში, ორმწვერვალიან კირქვის მთაზე. ელიას მთაზე წმიდა ილია თეზბიტელის სახელობის ტაძარი მეექვსე საუკუნიდან არსებობს. ილია თეზბიტელი მოღვაწეობდა ქრისტემდე მე-9 საუკუნეში. ის იყო ერთ-ერთი გამორჩეული წინასწარმეტყველი. ყოველ 2 აგვისტოს წმინდა დიდებული წინასწარმეტყველის ილია თეზბიტელის ხსენების დღეს უამრავი ხალხი იკრიბება აქ, ღამეს ათევენ და ლოცვას აღავლენენ ელიას კლდის ძირას. წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ტაძრის არსებობას, ჯერ კიდევ VI საუკუნეში, არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს, თუმცა მისი აგების ზუსტი თარიღი უცნობია. მისი აღდგენა 2009 წელს მოხერხდა.

ერთადერთი წერილობითი ცნობა შემოგვინახა ალექსანდრე დიუმამ, რომელსაც ელიას კლდე უნახავს 1858 წელს კავკასიასა და საქართველოში მოგზაურობის დროს და მოკლე ჩანაწერიც გაუკეთებია: „თამარ მეფის ციხიდან ექვსი ვერსის დაშორებით აღიმართება კიდევ ერთი მთა, რომლის შესახებ გადმოცემა არსებობს. ამ მთას ელიას მთა ჰქვია, ძირს მლაშე ტბა ევლება. შუა მთაში გამოჭრილ ფართო მღვიმეში აშენებულია სამრეკლო, სადაც ხშირად დადიან მცხოვრებლები. გადმოცემა ამბობს, რომ ამ მღვიმეში ილია წინასწარმეტყველისთვის ყორანს საჭმელი მიჰქონდა და რომ მან თავისი წამოსასხამი თავის მოწაფეს ელისეს დაუტოვა, თვითონ კი მთის მწვერვალიდან ცაში ამაღლდა" (ა.დიუმა. კავკასია, თბილისი, 1970, გვ. 259–260).

წმინდა ელიას სამლოცველო ბევრჯერ გადაურჩა იმ ქარტეხილებს, რაც კახეთ-ჰერეთსა და, განსაკუთრებით, კამბეჩოვანს დაატყდა თავს. დღეს სამლოცველო მოქმედია და სრულდება წირვა-ლოცვა.ყოველწლიურად 2 აგვისტოს ელიაობას განსაკუთრებულად აღნიშნავენ დედოფლისწყაროში. ელიას მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე სამკუთხა მოყვანილობის ფართო და მაღალი ბუნებრივი ეხია, რომლის წინა პირი ამოშენებულია. ეს არის წმინდა ელიას სამლოცველო, რომელსაც ძველთაგანვე დიდ პატივს სცემს დედოფლისწყაროს და მთელი ქიზიყის მოსახლეობა. ელიას მთას აქვს ერთი საიდუმლო, რომლის შესახებაც რაიონის მცხოვრებლებმაც ცოტამ თუ იცის. ელიის მთიდან არის შესასვლელი გვირაბში, რომლის ერთი ბოლო ხორნაბუჯის ციხეში გადის. ეს გვირაბი შიგ ელიის მთაში შედის და იქიდან გადის სხვადასხვა მხარეს, ხორნაბუჯში არის გვირაბის გამოსასვლელი ადგილი, რაც ამ ფაქტის სინამდვილეს ადასტურებს. როგორც ამბობენ ამ გვირაბიდან გზა რამდენიმე მხარეს გადიოდა, მაგრამ ცნობილია მხოლოდ ერთი, ხორნაბუჯში გამავალი ბოლო. დღესდღეობით ეს გვირაბი ჩამონგრეულია და მხოლოდ შესასვლელია დარჩენილი. აქ ჩამოსულები იყვნენ უცხოელი სპეციალისტები, რომლებსაც უნდა გამოეკვლიათ თუ სად გადიოდა დანარჩენი გვირაბები, მაგრამ ვერ შეძლეს ამის დადგენა, რადგანაც ცოტა მანძილის შენდეგ ვერანაირი სინათლე ვერ ძლებდა, სიბნელეში კი შეუძლებელი იყო გზის გაკვლევა. გადმოცემის თანახმად გვირაბში ოთხი ცხენოსანი შედიოდა. აღსანიშნავია, რომ შემორჩენილი იყო პატარა ფრაგმენტი ტაძრისა, რომელიც ტაძრის დანგრევის შემდეგ საგუშაგოდ გამოიყენებოდა, საიდანაც კარგად ჩანდა მტერი საიდან უტევდა საქართველოს.

წმინდა ილია თეზბიტელს ჰყავდა მოწაფე, წმინდა ელისე,რომელსაც გადმოცემის თანახმად დაუტოვა თავისი ხალენი. ელიას მთაზე აშენებული მონასტერი წმინდა ილია თეზბიტელის სახელობისაა,ხოლო გვერდით მიშენებული პატარა ეგვტერი არის წმინდა ელისეს სახელობისა. საქართველოს მრავალ კუთხეში აღნიშნავენ ელიაობას,მაგრამ განსაკუთრებით ეს აღინიშნება ქიზიყში,რადგან ჩვენი წინაპრები ელია თეზბიტელს მიჩნევდნენ წვიმის მომყვან და ნათესების მფარველ წმინდანად, ამიტომ განსაკუთრებულ შემწეობას ითხოვდნენ და სწამდათ წმინდა ილიას შემწეობის. ასეა დღემდე, უამრავი ადამიანი სტუმრობს ელიას მთას,ანთებს სანთელს,ლოცულობს და შესთხოვს მფარველობას. ამ დღისთვის სპეციალურად ჩამოდიან არა მარტო რაიონის ფარგლებს გარეთ გასული ადამიანები,არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფებიც. დღესასწაულთან დაკავშირებით ელია ეზბეთელის სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინება. ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ტრადიციის მიხედვით, ღამეს ელიას მთაზე ათევს.ელიაობის აღნიშვნა უძველესი ტრადიციაა, რომელიც დროთა განმავლობაში სახალხო დღესასწაულად გადაიქცა და რელიგიური დატვირთვაც მიიღო.

გაზეთი „შირაქის" რედაქცია გილოცავთ ელიაობის დღესასწაულს! წმინდა ილია თეზბიტელის მადლი გფარავდეთ!

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა



პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

100

ახალი შირაქი

25 ნოემბერი, პარასკევი, 1987 წ ელ ი, №137 (8.211)

ფასი 2 კაპიკი.

საქართველოს კპ ფითილფყაროს რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო.

АХАЛИ ШИРАКИ—Орган Цителцкаройского райкома КП Грузии и райсовета депутатов трудящихся.

25 ივლისი,1987 წელი

CXADIA, MTELI ES RELIGIURI BODVA ELIIS SESAXEB, MOKLEBULIA YOVELGVAR REALUR, MEC NIERUL NIADAGS DA MXOLOD SUSTI NEBISYOFIS, JER KIDEV UMECARI MORWMUNEEBIS MOSATYUEBLADAA MOGONILI. MITIURI ELIIS DRESASWAULI WARSULIS MAVNE GADMONASTIA DA IGI BNELI CRUMORWMUNEBIT HBOWAVEN ZOGIERT ADAMIANTA GONEBAS, XELS USLIS AQTIURAD ISROMON TA VIANT SASIKETOD. MECNIERULI METODEBIT EBRZOLON BUNEBIS STIQIAS.

MARQSIZMMA RELIGIAS XALXIS OPIUMI SEARQVA. SWO RED AM OPIUMIS SEMADGENELI NAWILIA MOZRVREBA ELIIS SESAXEBAC. AMDENAD, YOVELI ATEISTIS VALIA, MOTMINEBIT GANUMARTAVDES ADAMIANEBS, RELIGIURI BANGIS UDIDES MAVNEOBAS.



ქალიაობა—რელიგიური დღესასწაული

გაზეთ „შირაქის" რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

მონატრება

სპარტაკ ლაპიაშვილი

ჩემო სპარტაკ, 9 აგვისტოს ორმოცი დღე გავა შენი გარდაცვალებიდან. წლები ვებრძოდით შენს ავადმყოფობას, ყველა ღონეს ვხმარობდით, გაგვეხანგრძლივებინა შენი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, ბოლო 7-8 თვე უკვე ლოგინს მიეჯაჭვე, მაგრამ იმედს არ ვკარგავდი, ყოველი დღის კეთილად გათენების მჯეროდა და მაქსიმუმს ვაკეთებდი. წარმოუდგენლად მეჩვენებოდა ჩვენი ურთიერთობისთვის წერტილის დასმა, მაგრამ ეს მაინც მოხდა. მოხდა და ენით გამოუთქმელი სიცარიელე, ტკივილი და მონატრება მომიტანა. იოლი არ არის, დაკარგო მეუღლე და მეგობარი, რომელთან ერთადაც 47 წელი გაატარე. სითბოს, მზრუნველობის და პატივისცემის მეტი არაფერი მახსენდება შენთან თანაცხოვრების მანძილზე. ბუნებით კეთილი და გაწონასწორებული ადამიანი იყავ, კაცთმოყვარე და და ჰუმანური. დიდი თანამდებობა არ გქონია, მძღოლი იყავ, ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურე ხალხს, საზოგადოებას, და შენი მომდურავი კაცი არ დადის დედოფლისწყაროში. გაუსაძლის 90-იან წლებში, როცა ხალხს წასვლა- მოსვლა უჭირდა, უანგაროდ ეზიდებოდი სანოვაგით დატვირთულ ჩანთებს სტუდენტებისთვის, ხშირად უფასოდაც ამგზავრებდი მათ, რადგან იცოდი სწავლა-განათლების ფასი და ხელს უწყობდი მომავალ თაობას. ჩვენი შრომით შევქმენით ოჯახი, ფეხზე დავაყენეთ ის, ორი ქალიშვილი სონა(სოფო) და მაკა გავზარდეთ, მივეცით განათლება, დავაოჯახეთ, ოთხ შვილიშვილს ვემსახურეთ სიყვარულით და მზრუნველობით, ამიტომაც ვერ გივიწყებენ, თბილად გიხსენებენ თაკო, გიორგი, სანდრო, ლუკა და გიორგის მეუღლე თაკო, რომლის ჩვენს ოჯახში შემოსვლამაც ძალიან გაგვახარა და გაგვაბედნიერა. ორმოცი დღე მიილია, შენ არ ჩაგქრობია სანთელი და კანდელი, არ მოგკლებია საკმეველი და საკურთხი, ყველა ვლოცულობთ შენთვის, რათა დაგეხმაროთ, პირნათელი წარსდგე უფლის სამსჯავროზე. შენს მიერ განვლილი ცხოვრების გზა სამართლიანი და უბოროტო იყო, მაგრამ უცოდველი ადამიანი ხომ არ არსებობს? დაე, უფალმა დაგიმკვიდროს ადგილი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. გჯეროდეს, შენი ხსოვნა და პატივისცემა მუდამ დარჩება შენი ოჯახის, ძმის, ძმისშვილების, დისშვილების, ყველა ახლობლის, მეზობლის და მეგობრის გულში.

9 აგვისტოს ჩვენ ყველა თავს მოვიყრით შენს საფლავზე, კეთილად გაგიხსენებთ, დაგინთებთ სანთლებს, თავს წავუქცევთ ჭიქა ღვინოს და გზას დაგილოცავთ სასუფევლისკენ. უფალმა წყალობა არ მოგვაკლოს აქ- ჩვენ და მანდ -შენ.

შენი მეუღლე
მანანა გოგაშვილი-ლაპიაშვილი.

ხსოვნა

ლუიზა ჩუთლაშვილი

გავიდა უშენოდ გატარებული გაუსაძლისი ათი წელი. მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, ვერ გავუმკლავდით, ვერ დავამარცხეთ ვერაგი სენი. შენი ამქვეყნიდან მოულოდნელი წასვლა ჩვენთვის დღემდე უზარმაზარ ტკივილად რჩება და დასასრული არ აქვს. შეუძლებელია დაივიწყო ის გულთბილი ურთიერთობები, რომელსაც შეუმჩნევლად ქმნიდი და სითბოს უნაწილებდი ყველას. ჩვენს გარემოცვაში, ყველა ახლობელი, რეალურად გრძნობდა ამას. იყავი საქმიანი, სამართლიანი, ყველა დაჩაგრულის მოამაგე და მზრუნველი, დიდი სიყვარული იყო შენი ცხოვრების წესი. გვიჭირს უშენობა. შენ ერთი გამოხედვით შეგეძლო გაგეთბო სიცივე ურთიერთობებში, შეგევსო ვაკუუმი, რომელსაც ჩვენ ახლა ხშირად ვაწყდებით.

ჩვენი თანაცხოვრების წლები, გამთბარი სიყვარულითა და მზრუნველობით, თითქოს ერთი გათენება და დაღამება იყო. შენ სიყვარულისა და თანაგრძნობის საოცარი გამოხატვა შეგეძლო. შენი ენერგია და ხალისი გადამდები იყო ყველასთვის.

გაუნელებელ ტკივილს გვმატებს შენი წასვლა ამ ქვეყნიდან. ვერ შევძელით უფრო მეტად გვეზრუნა, მოგფერებოდით, როგორც ამას იმსახურებდი საყვარელი მეუღლე, დედა, ბებია და ახლობელი.

დიდი სიყვარულით, მეუღლე ეგული,
შვილები: დიტო და ნონა ყოჩიაშვილები ოჯახებით.

ილია ჭავჭავაძის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე ასოციაციის წევრის, ღვაწლმოსილი ქალბატონის
ლილი გოლიაძე-ლოლაშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს ვანო ლოლაშვილს დედის
ლილი გოლიაძე-ლოლაშვილის
გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია თანაგრძნობას უცხადებს ვანო ლოლაშვილს დედის
ლილი გოლიაძე-ლოლაშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი მეტრის ნომინანტები: ნიკოლოზ შანშიაშვილი, აბრამ ხარაშვილი, გოდერძი გონაშვილი, მერაბ რობიტაშვილი, რიბიზონ ნატროშვილი, ჯუმბერ უთრუთაშვილი ღრმა მწუხარებას გამოხატავენ და თანაუგრძნობენ მანანა გოგაშვილს, სონა, მაკა და ნუგზარ ლაპიაშვილებს ძვირფასი მეუღლის, მამის და ძმის, საუკეთესო პროფესიონალის, მეტრის ნომინანტის
სპარტაკ ლაპიაშვილის
გარდაცვალების გამო.

„დედოფლისწყაროობა“ მეშვიდედ აღინიშნა

ღონისძიებაზე საპატიო დედოფლისწყაროელებს ვავლენთ, ადამიანებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით არა მხოლოდ დედოფლისწყაროს, არამედ ჩვენი ქვეყნის წინსვლაში...

(მესამე გვერდიდან)

ღონისძიებაზე საპატიო სიგელები გადასცეს დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების წარმატებულ კურსდამთავრებულებს. როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელმა **ეთერ ზურიკაშვილმა** აღნიშნა, წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ოქროსა და ვერცხლის მედალი 30-მა მეთორმეტეკლასელმა მიიღო. სწორედ ამ ახალგაზრდებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლა ნორჩმა „ქუჩის მუსიკოსებმა“. ნიჭიერი და განათლებული მომავალი თაობა ხომ ქვეყნის წარმატებისა და განვითარების გარანტია.

ღონისძიება დასრულდა ფლეშმობით- „არა მოწევას“, რომელშიც დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ და ულამაზესი ფოიერვერკით.

სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს მომავალ „ელიაობამდე“ და „დედოფლისწყაროობამდე“ დაემშვიდობნენ.

ინგა შიოლაშვილი

ულოცავენ!

აბრამ ხარაშვილს!

ბატონო აბრამ, კულტურისა და ხელოვნების დიდ ქომაგს, „მეტრის“ ნომინანტს, გილოცავთ დაბადების დღეს. 2 აგვისტოს თქვენ 93 წლის გახდით!

ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებთ შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად.

პატივისცემით,
ლალი ბოჭორიშვილი, ჯიმი, ლია, გია ალუღიშვილები, ლამარა და ნანა ჭიჭინაძეები ოჯახებით.

ი ყ ი დ ე ბ ა !

ქ. დედოფლისწყაროში იყიდება 2 ოთახიანი, გარემონტებული ბინა ლოჯით, სარდაფით და ავტოფარეხით. გამოდგება საოფისედაც. მისამართი: რუსთაველის ქ. №36, კორპუსი 40, ბინა 13, 1 სართული. ფასი 19 000 $.(ფასზე შეთანხმება შესაძლებელია).
☎ 599 855832

იყიდება საჯარო რეესტრის მაღლა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებულია ოთხოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ
☎ 591092478

იყიდება კერძო, ორსართულიანი, კაპიტალური ბინა 922 კვმ. ბუნებრივი აირით, წყლით, უზრუნველყოფილია ინტერნეტით.
მისამართი: ქ. დედოფლისწყაროო, გურამიშვილის ქ № 17.
დაგვიკავშირდით:
☎ 555 15 46 46

ამინდი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

	ორშაბათი 05.08	სამშაბათი 06.08	ოთხშაბათი 07.08	ხუთშაბათი 08.08	პარასკევი 09.08	შაბათი 10.08	კვირა 11.08
დღე	28 °	20 °	20 °	22 °	23 °	26 °	28 °
ღამე	18 °	19 °	19 °	21 °	22 °	25 °	27 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.